

შეტყობინება მესამე

**სულიერი პრინციპები, სიცოცხლის გაძვეთილები და წმიდა გაფრთხილებები,
ნაჩვენები სამუელის ისტორიაში**

ადგილები წერილიდან: 1 მეფ. 1:10-11, 18-20, 27-28; 2:30, 35-36; 3:1-21; 4:11-22; 7:3-17; 12:23

I. სამუელი იყო ლევიანთა ტომიდან (1 მეფ. 6:33-38), მაგრამ არა აარონის სახლიდან – ღმერთის მიერ დანიშნული მღვდლის ოჯახიდან; სამუელი ემსახურებოდა უფალს როგორც მღვდელი არა დაბადების თანახმად, არამედ ნაზარეველთა აღთქმის თანახმად:

- a. ღმერთი მოძრაობდა, პასუხობდა ანნას ლოცვას, იმის გამო, რომ წარმოექმნა გამარჯვებული ნაზარეველი – ის, ვინც აბსოლუტურად გადაცემული იქნებოდა ღმერთის სურვილის ასრულებისათვის; ჯერ კიდევ სამუელის დაბადებამდე დედამისმა მიუძღვნა ის ღმერთს, რათა ის გამხდარიყო ასეთი ადამიანი – 1 მეფ. 1:10-11, 18-20.
- b. ღმერთს უნდა, რომ მისი ყველა ადამიანი იყოს ნაზარეველი, ვიყოთ ნაზარეველი – ნიშნავს ვიყოთ აბსოლუტურად და უპირობოდ გაწმიდანებული, გამოყოფილი, ღმერთისათვის, ანუ განკუთვნილი ვიყოთ მხოლოდ ღმერთისათვის და მხოლოდ მისი დაქმაყოფილებისათვის – იესოს მოწმობისათვის, რომელიც არის ეკლესია, რომელიც ამოწმებს, როგორც მოწმობა და გამოხატულება ქრისტესი – რიცხ. 6:1-2; ფსალ. 73:25-26; გამოცხ. 1:2, 9-13; 19:10; შდრ. გამ. 38:21:
 1. ის, რომ ნაზარეველს თავი უნდა შეეკავებინა დვინისაგან და ყველაფერისაგან, რაც დაკავშირებულია მის სათავესთან, აღნიშნავს თავის შეეკავებას ნებისმიერი მიწიერი ტკბობისაგან და დაქმაყოფილებას და ქრისტეს როგორც თავისი ტკბისა და დაქმაყოფილების მიღებას; სიცოცხლის ხის ჭამა, ანუ ქრისტეთი ტკბობა როგორც ჩვენი სასიცოცხლო შეწევნით, უნდა იყოს თავდაპირველი სამქე ეკლესიურ ცხოვრებაში – რიცხ. 6:3-4; გამოცხ. 2:7; მსაჯ. 9:12-13.
 2. ის, რომ ნაზარეველს არ უნდა გადაეპარსა თავი, აღნიშნავს, რომ ადამიანი არ უარყოფს უფლის თაობას, არამედ აბსოლუტურად ემორჩილება მას, და ასევე ღმერთის მიერ დანიშნულ ძალაუფლების ყველა წარმომადგენელს – რიცხ. 6:5; რომ. 13:1-2ა; ეფეს. 5:21, 23; 6:1; ებრ. 13:17; 1 პეტ. 5:5.
 3. ის, რომ ნაზარეველი არ უნდა წაბილწულიყო თავისი სისხლის ნათესავების სიკვდილით, არამედ უნდა დარჩენილიყო თავის გამოყოფაში, რათა ყოფილიყო წმიდა ღმერთისათვის, აღნიშნავს, რომ ნაზარეველები იმარჯვებენ ბუნებრივ მიღრეკილებებზე – რიცხ. 6:7.
 4. ის, რომ ნაზარეველი არ უნდა მიახლოვებოდა მკვდარ ადამიანს ან შებილწულიყო მის სიახლოვეს მყოფი ადამიანის უეცარი სიკვდილით,

აღნიშნავს, რომ ნაზარეველი გამოყოფილია სიკვდილისაგან – მუხ. 6-9; გამოცხ. 3:4; ლევ. 11:31; 5:2; შდრ. 1 იოანე 5:16.

II. სამუელის დროს აარონის სახლის სამღვდელოება უკიდურესად დაეცა; მაგრამ ლმერთმა წინასწარგანჭვრიტა ეს; გარდა იმისა, რომ მან დანიშნა აარონის სახლი მღვდლებად, მან გაითვალისწინა დამატება – ნაზარეველთა აღთქმა რიცხვნის მე-6 თავში – იმ შემთხვევისათვის, თუ დანიშნული მღვდლები აღმოჩნდებოდნენ გამოუსადეგარნი:

- ა. როდესაც აარონის სახლი დაეცა, ეს დამატება იყო გამოყენებული პრაქტიკულად; სამუელი გახდა მღვდელი, ის იყო მიძღვნილი, გამოყოფილი და ნასესხები, უფლისათვის – 1 მეფ. 1:11, 27-28.
- ბ. უფლის დღეებში ლმერთი გადარიბდა იმასთან დაკავშირებით, რაც შეეხება სამღვდელოებას, ამიტომ ანნამ ასესხა სამუელი უფალს; როდესაც ვითარებდა ხდება არანორმალური, უფალი ხდება დარიბი იმასთან დაკავშირებით, რაც შეეხება მის მმართველობას, და ჩნდება საჭიროება, რომ ვიდაცამ ნებაყოფლობით ასესხოს თავისი თავი უფალს.
- გ. მას შემდეგ, რაც ანნამ წარუდგინა სამუელი ყელის, მან დაიწყო ლმერთის ქება მისი გადარჩენისათვის, რომელიც აღსრულდა მისი საოცარი საქმეების მეშვეობით; მისი ლოცვა დაკავშირებული იყო ლმერთის მოძრაობასთან დედამიწაზე ლმერთის სახლმშენებლობაში და გულისხმობდა, რომ ანნას ჰქონდა გარკვეული გაგება ლმერთის სახლმშენებლობისა – 2:1-10.

III. სამუელი გაიზარდა ყელის მეურეების ქეშ; ახალგაზრდობაში სამუელი ემსახურებოდა ივჳოვას ყელის წინაშე (მუხ. 11ბ, 18-19) და ყელი ასწავლიდა მას ლმერთის მსახურებას:

- ა. ლმერთმა დაუძახა სამუელს სამჯერ: „მაშინ ყელიმ გააცნობიერა, რომ ეს ივჳოვა ეძახდა ბიჭს. და ყელიმ უთხრა სამუელს: „წადი, დაწექ, და თუ ის დაგიძახებს შენ, უთხარი: „ილაპარაკე, ივჳოვა, რადგან შენი მსახური გისმენს შენ“. – მაშინ ივჳოვა მოვიდა, და დადგა მის სიახლოეს, და მოუხმო, ისევე როგორც წინა ჯერზე: სამუელ! სამუელ! – და სამუელმა უთხრა: ილაპარაკე, ვინაიდან შენი მსახური გისმენს“ 3:1-10:
 1. ეს იყო რადაც სრულიად დადებითი, რაც ისწავლა სამუელმა ილიასაგან; ჩვენ, უფლის მსახურები, უნდა დავრჩეთ ურთიერთობაში მასთან, ყოველთვის მოვუსმინოთ მას – ლუკა 1:34-38; 10:38-42.
 2. ჩვენი ცხოვრება დამოკიდებულია უფლის სიტყვებზე, ხოლო ჩვენი სამუშაო – მის ბრძანებაზე (გამოცხ. 2:7; 1 მეფ. 3:9-10; შდრ. ესაია 50:4-5; გამ. 21:6); მორწმუნების ცხოვრება მთლიანად განპირობებულია უფლის ლაპარაკით (ეფე. 5:26-27).
 3. უფლის ლაპარაკი ნებას გვაძლევს ჩვენ შევასრულოთ მისი მარადიული სახლმშენებლობის მიზანი, იმისათვის, რომ წარმოიქმნას პატარძალი როგორც უფლის წყვილი – გამოცხ. 2:7; ევე. 5:26-27; ქებ. ქ. 8:13-14.
- ბ. სანამ სამუელი სწავლობდა, ის უყურებდა აარონის დეგრადირებული სამღვდელოების უკან სვლას:
 1. ის უყურებდა, რომ ლმერთის კიდობანს იყენებდნენ თავისი ინტერესებისათვის ხალხის უხუცესები და დაპყრობილი იყო ფილისტიმელების მიერ და რომ ლმერთის დიდება მოშორდა ისრაელს; ის აცნობიერებდა ლმერთის მკაცრ სასამართლოს ყელის სახლზე, რომელიც

- მოიცავდა თავის თავში ყელისა და მისი ორი უდირსი ვაჟის, ხოჯნისა და ფინხასის, სიკვდილს – 1 მეტ. 2:12-36; 4:11-22.
2. ღმერთის სასტიკი სასამართლო ყელის სახლზე იყო გაცხადებული ღმერთის კაცის წინასწარმეტყველებაში (2:27-36); შემდეგ, ეს მკაცრი სასამართლო დადასტურდა იქოვგას სიტყვით, რომელიც წარმოთქვა სამუელმა (3:11-18).
 3. ღმერთის მიზანი, როდესაც მან უთხრა ყელის სამუელის ძეშვეობით მომავალ სასამართლოზე იყო ის, რომ ეს მოეხდინა წარუშლელი შთაბეჭდილება სამდვდელოებაში დაკავებულ ამ ბიჭზე; ამაში გამოვლინდა ღმერთის სიბრძნე – მუხ. 17-18.
 4. ამას არ დაუსუსტებია სამუელი მის მომავალ ნაზარეველურ მსახურებაში; პირიქით, ეს გახდა მისთვის მუდმივი გაფრთხილება მთელი მისი სამდვდელოების მსახურების განმავლობაში, რაც დაეხმარა მას, რომ დარჩენილიყო სუფთა თავის მსახურებაში ღმერთისადმი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.
- IV. სამუელი იყო ის, ვინც შეცვალდა ის საუკუნე სამეფოს საუკუნეზე მეფობით; ეს იყო უდიდესი მოვლენა არა მარტო ისრაელის ისტორიაში, არამედ კაცობრიობის ისტორიაში:**
- a. სამუელი არ ჯანყობდა აარონის სახლის წინააღმდეგ, და არ ცდილობდა თავისთვის რადაცის, რაც ეკუთვნოდა აარონის სახლს, მითვისებას; როდესაც სამუელი იზრდებოდა, ღმერთი აწყობდა მის გარემოცვას, რათა გაესრულყოთილებინა ის და გაეხადა ის იმის შემძლე, რომ გაეკეთებინა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო ღმერთისათვის იმ საუკუნის შესაცვლელად, რათა მოეცვანა მეფისა და მეფობის საუკუნე.
 - b. როგორც მღვდელმა, სამუელმა შეცვალდა აარონის დაძველებული სამდვდელოება და გარკვეული აზრით, მოუღო მას ბოლო; ღმერთი იყენებდა სამუელს საუკუნის შესაცვლელად არა ჯანყის და გადატრიალების მეშვეობით, არამედ ლვთაებრივი გამოცხადების გზით იმ მიზნით, რომ მოეცვანა სამეფო.
 - c. სამუელი იყო გამოცხადების ადამიანი, და ის ყვლაფერს აკეთებდა იმის თანახმად, რაც დაინახა; „იქოვგა უხსნიდა თავის თავს სამუელს... იქოვგას სიტყვით“ (მუხ. 21); გარდა ამისა, სამუელი იყო ადამიანი თანახმად ღმერთის გულისა – კოპო, კვლავწარმოქნა, ღმერთის გულისა; როგორც ასეთი ადამიანი, ის არასოდეს არ გააკეთებდა არაფერს ჯანყიდან გამომდინარე.
- V. არა მარტო სამუელის საქციელი, ცხოვრება და მუშაობა, არამედ მთელი მისი არსება და მთელი მისი პიროვნება შეესაბამებოდა ღმერთს; სამუელის არსება და ღმერთის გული იყო ერთი; ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სამუელი, ადამიანი, შესაბამისი ღმერთის, იყო მოქმედი ღმერთი დედამიწაზე:**
- a. ღმერთის გონება იყო სამუელის მსჯელობა; მას არ ჰქონდა სხვა აზრები, მსჯელობები ან ფიქრები; მისი ცხოვრება და მუშაობა განკუთვნილი იყო იმ ყველაფრის განსახორციელებლად, რაც ჰქონდა ღმერთს გულში.
 - b. სამუელმა სცხო საული და დავითი, რათა ისინი ყოფილიყვნენ მეფეები (10:1; 16:1, 13); ის, რომ სამუელი უნდა წასულიყო ღმერთის ცხებულის წინ მუდმივად (2:35), რომ ყურადღება მიექცია მეფისათვის, თვალყური ედევნებინა იმისათვის, თუ რას აკეთებდა ის, შეესაბამებოდა ღმერთის დაღენილებას.
 - c. აქედან ჩანს, რომ სამუელი, ღმერთის მოქმედებების შემსრულებელი დედამიწაზე, იყო უფრო მეტი, ვიდრე მეფე; მას ჰქონდა ასეთი უფლება, რადგან მრავალი წლის

განმავლობაში დმერთი სრულყოფდა მას მხოლოდ თავისი
სახლმშენებლობისათვის:

1. დმერთს შეეძლო გამოეყენებინა სამუელი თავისი სახლმშენებლობის განსახორციელებლად, რადგან ის იყო ადამიანი დმერთის და დმერთის გულის თანახმად, თავისუფალი საკუთარი მისწრავებებისაგან და ნებისმიერი პირადი ინტერესებისაგან – შდრ. 16:24-26; ლუკა 9:23-25.
 2. მას არ აინტერესებდა არაფერი, გარდა დმერთის გულისა და დმერთის რჩეულებისა; მისი გული იყო დმერთის გულის ანარეკლი – შდრ. ფილიპ. 2:19-22; 2 კორ. 3:16-18.
 3. სამუელი თვლიდა, რომ არ ლოცვა დმერთის ხალხისათვის, რომელიც არის დმერთის საკუთარი საგანძურო და მფლობელობა, იყო ცოდვა იქმოვას წინააღმდეგ – 1 მეფ. 12:23; გამ. 19:5.
 - დ. მიუხედავად იმისა, რომ სამუელისათვის არ იყო ადვილი დმერთისათვის დგომა მის განსაკუთრებულ ვითარებებში, ის ზრუნავდა დმერთის ინტერესებზე და მან შეცვალა საუკუნე; ძველი აღთქმის თანახმად, სამუელი დაბას მოსესთან ერთად დმერთისა და დმერთის ინტერესებისადმი თავდადებულობის თვალსაზრისით – იერ. 15:1.
 - ე. „გამოუცხადა სამუელმა მთელ ხალხს სამეფოს საქმეები, ჩაწერა წიგნში და დადო იქმოვას წინაშე“ – 1 მეფ. 10:25ა:
 1. მოსემ მისცა ისრაელის შვილებს კანონი, მაგრამ სამუელის მოსვლამდე მათ არ ჰქონდათ კანონებს დაქვემდებარებული დადგენილებების კრებული, კონსტიტუცია.
 2. სამუელმა ასწავლა ხალხს კანონს დაქვემდებარებული დადგენილებები, კონსტიტუცია, პრაქტიკა, ჩვეულებები, მოქმედების სახეობა, დადგენილებები და წესები იმისა, თუ როგორ განეხორციელებინათ დმერთის მეფობა დედამიწაზე.
- VI. დმერთმა დაიწყო ახალი საუკუნე, წამოაყენა სამუელი, ახალგაზრდა ნაზარეველი, როგორც ერთგული მდგდელი, რომელმაც შეცვალა დეგრადირებული სამდვდელოება – 2:35:
- ა. დმერთმა განამტკიცა სამუელი, რათა მას ელაპარაკა დმერთის სიტყვა, იმ მიზნით, რომ შეეცვალა დმერთის სიტყვის სწავლება, რომელსაც ახორციელებდა ძველი სამდვდელოება; პირველი, რასაც მდგდელი უნდა აკეთებდეს სამდვდელოებაში, – არის დმერთის ნაცვლად ლაპარაკი.
 - ბ. სამკერდული ურიმითა და თუმიმით, რომელსაც ატარებდა მდგდელმთავარი იყო საშუალება, რომლის დახმარებითაც დმერთი ელაპარაკებოდა თავის ხალხს (გამ. 28:30); სამდვდელოების დეგრადაციის დროს დმერთის ლაპარაკი იყო თითქმის დაკარგული (1 მეფ. 3:1, 3ა).
 - გ. დმერთს თავისი რჩეულებისათვის მიჰქონდა თავისი სიტყვა იმის მეშვეობით, რომ დაადგინა სამუელი როგორც წინასწარმეტყველი ამაღლებულ სამდვდელო მსახურებაში (მუხ. 20-21), და დმერთმა განახორციელა თავისი ძალაუფლება იმის მეშვეობით, რომ თავის რჩეულებზე, დააყენა სამუელი როგორც მსაჯული (7:15-17).
 - დ. სამუელმა, როგორც უკანასკნელმა მსაჯულმა, ბოლო მოუდო მსაჯულთა მსახურებას, და როგორც ახალმა მდგდელმა, დაუდო სათავე მეფის მსაურებას, რომელიც იყო განმტკიცებული წინასწარმეტყველების ამაღლებული მსახურებით.
 - ე. დმერთს უნდა წამოეყენებინა ცოცხალი პიროვნება, წინასწარმეტყველი, რომელიც ილაპარაკებდა მის ნაცვლად; დმერთის მოწყობაში სამუელი ითვლება პირველ

წინასწარმეტყველად, ვინაიდან მისგან დაიწყო წინასწარმეტყველების მსახურება ღმერთის ლაპარაკისათვის – საქმე. 3:24; 13:20; ებრ. 11:32.

- VII. სამუელი იყო ერთი ღმერთთან დედამიწაზე; ოოგორც ღმერთის მოქმედებების შემსრულებელი დედამიწაზე, თვით ღმერთის წარმომადგენელი, ოომელიც არის ზეცაში, მისი ხალხის მართვისათვის დედამიწაზე, სამუელი მსახურობდა, და მას გააჩნდა ხუთი სტატუსი – 1 მეფ. 7:3:
- ა. სამუელი მსახურობდა ოოგორც ნაზარეველი, აბსოლუტურად მიძღვნილი ღმერთისათვის ღმერთის მიერ მისი სახლმშენებლობის აღსრულებისათვის – 1:11, 28ა.
 - ბ. სამუელი მსახურობდა ოოგორც ღმერთის დამფასებელი, მღვდელი, ომელიც ასიამოვნებდა ღმერთს და ოომელმაც შეცვალა დაძვლებული და დეგრადირებული სამდვდელოება, და ის ერთგულად მოქმედებდა ღმერთის სახელით, მეფეების დანიშვნისა და განმტკიცების საქმეშიც კი დვთაებრივი მმართველობისათვის დედამიწაზე – 2:30, 35-36; 7:3-17; მსაჯ. 9:9, 13.
 - გ. სამუელი მსახურობდა ოოგორც წინასწარმეტყველი, განმტკიცებული ღმერთის მიერ (1 მეფ. 3:20), ღმერთის სიტყვის სალაპარაკოდ, ოომელმაც შეცვალა ძველი სამდვდელოების სწავლება იმ დროს, როდესაც ივჰოვას სიტყვა იყო იშვიათი და ხედვა არ იყო ფართოდ გავრცელებული (მუხ. 1-10, 19-21).
 - დ. სამუელი მსახურობდა ოოგორც მსაჯული სამეფოს სინამდვილეში, მან შეცვალა სასამართლო, რომლის მეშვეობითაც მოძველებული სამდვდელოება ასამართლებდა ხალხს – 7:15-17.
 - ე. სამუელი მსახურობდა ოოგორც ლოცვის ადამიანი, რომელიც ლოცულობდა ღმერთის რჩეულებისათვის, რათა ისინი ყოფილიყვნენ შენახულნი ღმერთის გზაზე, ყოფილიყვნენ ერთი ღმერთთან, არ ჩავარდნილიყვნენ პერპეტის ხაფანგში, იმ კერპებისა, რომლებიც ჰქონდათ ხალხებს, და დამტკბარიყვნენ ღმერთით ოოგორც ებენ-ყეზერით (რაც აღნიშნავს „შეწევნის ქვას“ – მუხ. 12) ღმერთის სურვილის აღსასრულებლად ღმერთის ნების შესაბამისად მათთან დაკავშირებით (მუხ. 3-17; 8:6; 12:19-25; 15:11δ).